არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

„ბაზის ბანკის“ შენობა

ქეთევან დედოფლის პროსპექტი №1

თბილისი



ხედი ქეთევან დედოფლის ქუჩიდან



ხედი მეტეხის ქუჩიდან

შემსრულებელი –
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შპს
„ძველი უბანი“
ივლისი
2010

საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობა

საპროექტო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, ავლაბარში, ავლაბრის მოედანზე. მისამართია ქეთევან დედოფლის პრ. №1 (ძველი თბილისის გამგეობა).

ეს იყო საცხოვრებელი სახლი, შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლო, ამჟამად კი განთავსებულია ბანკ „ბაზისბანკის“ მთავარი ოფისი. განსაზღვრულია ამ სამსართულიანი სახლის ინტერიერის რემონტი და ფასადების რეაბილიტაცია.



აეროფოტო, 2007წ.

ნაგებობა მეტეხის ქუჩის კუთხიდან ქეთევან დედოფლის ქუჩის გაყოლებით არის წაგრძელებული და თითქმის მთლიანად მოიცავს ავლაბრის მოედნის სამხრეთის გვერდს. მოედნის ცენტრში რამდენიმე წლის წინ დადგმული შადრევანია, მოპირდაპირე მხარეს კი ავლაბრის მეტროს ზედა სადგური და რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკონსტრუქციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ობიექტი №1 არქიტექტურული ძეგლია

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:
დაწესებულება – ქეთევან დედოფლის პრ.№3;
საცხოვრებელი სახლები – ქეთევან დედოფლის პრ.№7;9;
საცხოვრებელი სახლი – ფერისცვალების ქ.№28;
შამქორელთა ეკლესია – ფერისცვალების ქ. №21;

უბანში არსებული დანარჩენი ძეგლები არ აღიქმებიან საპროექტო ობიექტის თვალსაწიერზე

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „ეკოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

ავლაბარის ურბანული განვითარება დაიწყო XVII ს-ში, როდესაც როსტომ მეფემ აქ ყმა-გლეხები ჩამოასახლა წოდორეთიდან. ეს გარემოებაა ასახული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე (1735 წ.), სადაც ავლაბარი უკვე დასახლებული ჩანს. განაშენიანების სახღვრები აქ მიჰყვება ბუნებრივ-გეოგრაფიულ მოცემულობებს და იმავე პრინციპით იკვეთება ქუჩებისა და კვარტალების ჩანასახები. თუმცა ქუჩათა ქსელი იმ დროისთვის ჯერ კიდევ ამორფული და ეფემერულია და არ აქვს ჩამოყალიბებული სახე.

1770-იან წწ. დარჯან დედოფალმა გალავნით შემოზღუდა მეტეხის ციხის ზედა ნაწილი და გალავნის კედლის იქითა ტერიტორიას ამის შემდეგ გარეთ ავლაბარი ეწოდა.

1802 წელს ავლაბარი ადმინისტრაციულად ქალაქს შეუერთდა, მაგრამ ეს უბანი კიდევ დიდი ხნის მანძილზე გარეუბნად მოიხსენიებოდა. თბილისის იმდროინდელ გეგმებზე გალავნით შემოზღუდული ი დ ა ავლაბრის ქუჩების ქსელი მოწესრიგებული ჩანს, გ ა რ ე თ ავლაბრის ქსელი კი კვლავ ამორფულია.

ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განაშენიანება განვითარდა შიდა ავლაბრის გალავნის გასწვრივ. აქ ჩამოყალიბდა ავლაბრის (კახეთის) მოედანი საიდანაც იწყებოდა კახეთისკენ მიმავალი გზა. ამ გზაზე განვითარდა ქეთევან დედოფლის პროსპექტი, რომელიც ამ უბნის ღერძად გადაიქცა.

კახეთის გზა უკვე აღნუსხულია თბილისის 1800 წლის გეგმაზე. აქ მდებარეობდა ე. წ. კახეთის საგუშაგო. ამავე პერიოდში აქ, ყალიბდება კახეთის მოედანი. 1844 წლის გეგმაზე კახეთის მოედანი უკვე განაშენიანებულია, თუმცა ჩამოყალიბებული სახე მას მხოლოდ 1867წლის გეგმაზე აქვს.

ქეთევან დედოფლის პროსპექტიც XIX ს-ის შუა ხანებში ყალიბდება. იგი უკვე განაშენიანებული ჩანს ამავე პერიოდის თბილისის გეგმებზე. თავდაპირველად ეს იყო კახეთის გზა. 1867წ. გეგმაზე **კახეთის ქუჩა** ეწოდება. 1920-იანი წწ-დან ეწოდებოდა **შაუმიანის** სახელი. 1990-იანი წწ-დან ეწოდა **ქეთევან წამებულის პროსპექტი**. 2005წ-დან კი **ქეთევან დედოფლის პროსპექტი**.

XIX საუკუნის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს თუ როგორ ყალიბდებოდა ავლაბრის (კახეთის) მოედნის სტრუქტურა. მოედნის და ქუჩების პერიმეტრები აქ თანდათან ივსებოდა წინასწარ დაპროექტებული ორ, ოშვიათად, სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და იქმნებოდა სხვადასხვა მოხაზულობისა და ზომის ურბანული კვარტალები. XX ს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება.

საპროექტო სახლის ადგილას იდგა XIX ს-ის შუა ხანებში აგებული რამდენიმე მცირე ზომის საცხოვრებელი სახლი. საპროექტო შენობა კი აიგო 1910-იან წლებში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1920-იან წლებში აქ არსებული კერძო ნაგებობები გადაკეთდა კომუნალურ საცხოვრებელ სახლებად. მოგვიანებით საპროექტო სახლში განთავსდა თბილისის საქალაქო სასამართლო.



1735 წ. ვახუშტის გეგმა



თბილისის გეგმა 1800წ.



თბილისის გეგმა 1844წ.



თბილისის გეგმა 1867წ.



თბილისის გეგმა 1913წ. წ.



თბილისის გეგმა 1924წ.

– ცვლილებები XX ს-ში

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება უბნის ამ მონაკვეთში XX ს-ის შუა ხანებში დაიწყო წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვით“ და ფართო სივრცითი არეების შექმნის გზით. ამ დროს აიღეს სახლები ყოფილ კახეთის მოედანსა და შაუმიანი ქუჩაზე და გააფართოვეს მოედანი, თუმცა უბანი ბოლომდე არ მოწესრიგებულა.

1960-იან წლებში გაგრძელდა მოედნის „მოწესრიგება“. დღევანდელი ფაღავას ვიწრო ქუჩის განაშენიანება აიღეს და მის ნაცვლად აშენდა რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი (უნდა ითქვას, რომ აავლაბრის განაშენიანებისათვის ამ შეუსაბამო შენობამ აშკარა დისონანსი შეიტანა ისტორიულ განაშენიანებაში და დღესაც ქმნის პრობლემას ამ უბნის მოწესრიგების საქმეში). ამავე დროს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საპროექტო ნაგებობას. ასენდა ავლაბრის მეტროს ზედა სადგური და მოეწყო სკვერები მოედნის ირგვლივ.

XX ს-ის ბოლოს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საპროექტო სახლის გვერდით მდებარე ნაგებობებს. 2005 წელს კი მოედანზე მოეწყო შადრევანი და მოწესრიგდა რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის უსახო ფასადი.

2010 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ავლაბრის მეტროს სადგურს და მის კედლებზე მოეწყო შეკიდული საფასადო გამწვანება.

ყოველივე ამის შედეგად უბანმა მიიღო დღევანდელი ურბანული სახე და შეიქმნა ფართო სივრცითი არეები. უბნის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.

ამგვარად დასრულდა უბნის სტრუქტურული სახეცვლილების პროცესი, თუმცა უბნის საბოლოო მხატვრული სახე ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული.



ავლაბრის მოედანი, ხედი მთაწმინდიდან 2009 წ.

ამგვარად ეს ურბანული მონაკვეთი არის – ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-გეგმარებით საფუძველზე XX ს-ის მეორე ნახევარში ჩატარებულ სარესტავრაციო-საადაპტაციო სამუშაოების პროდუქტი.

– ნაგებობები საპროექტო სახლის გვერდით

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010503002





1. ბანკი "ინვესტი"
2. ქეთევან წამებულის გამზირი 3
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის I ნახევარი

სამსართულიანი სახლი საპროექტო ნაგებობის მარცხნივ. XX ს-ის ბოლოს რეკონსტრუირებულია. დამატებულია სამანსარდო სართული და გადაკეთებულია აღმოსავლეთი ფასადი. შეცვლილია ასევე საფასადო სახე ეზოს მხრიდანაც.



მეტეხის ქუჩის კუთხეში მდგომი სახლი №22/23 სახლი რეკონსტრუირებული და ადაპტირებულია XX ს-ის ბოლოს. მთლიანად შეცვლილია აქ ადრე მდგომი ნაგებობა. დამატებულია სამანსარდო კონსტრუქცია.



საპროექტო ნაგებობის უკან მეტეხის ქუჩაზე დგას ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთსართულიანი სავაჭრო ფლიგელით №19.

საპროექტო სახლი, ძეთევან დედოფლის ქ. №1

სამსართულიანი ნაგებობა დგას მოედნის პერიმეტრზე, მეტეხის ქუჩის კუთხესთან. მარცხენა ყრუ კედლით მიდგმულია №3 ფსევდორენესანსული სტილის სამსართულიან, სახლზე, მანსარდით. მარჯვენა მოკლე ფასადი გადის მეტეხის ქუჩაზე. უკანა მხარე გადის ჩიხურ ეზოში, რომელსაც ემიჯნება ფერისცვალების ქუჩის განაშენიანება. გათვალისწინებულია სახლი №1-ის რეაბილიტაცია.



სახლი №1, ხედი აგლაბარის მოედნიდან, 2010წ.



აეროფოტო 2006 წ.

აგების თარიღი – XX ს. 10-იანი წწ, ოდნავ გადაკეთებულია XXს-ის II ნახ;
შემკვეთი – ბ. კონიევი;
არქიტექტორები – არ არის ცნობილი;
არქიტექტურული სტილი – ეკლექტიკური სტილის საცხოვრებელი სახლი, კონსტრუქტივიტული საფასადო სტრუქტურით და თბილისური ტიპის აივნებიანი გალერეით ეზოს მხრიდან;


საკადასტრო გეგმა.1885 წ

თავდაპირველი გეგმარება – ამ სახლის თავდაპირველად ჩამოყალიბებული ზოგადი სახის, გეგმარების და სამშენებლო ფენების დადგენა შესაძლებელია ძველი ფოტოებით და სხვა საარქივო მასალით. აქ, XIX ს-ის დასაწყისში გადიოდა გარე ავლაბრის გალავნის კედელი და დღევანდელ მეტეხის ქუჩის კუთხესთან მდებარეობდა გალავნის კარიბჭე (გალავნის და კარიბჭის ნაშთები გამოვლინდა ავლაბრის მოედანზე შადრევნის მშენებლობის დროს). თავდაპირველად, XIXს-ში, ამ გალავნის მიმდებარედ არსებობდა რამდენიმე მცირეგაბარიტიანი ნაგებობა. 1910–იან წლებში ამ ნაგებობების ნაცვლად მეტეხის ქუჩისა და კახეთის მოედნის კუთხეში აშენდა მოზრდილი სამსართულიანი ნაგებობა, რომლის ძირითადი საფასადო და გეგმარებითი სტრუქტურა დღესაც შენარჩუნებულია. სამწუხაროდ ნაგებობის თავდაპირველი პროექტი ისტორიულ არქივში არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს რამდენიმე მცირე ნაკეთი ერთმა პირმა შეისყიდა და თავისი სახლი ამ ტეხილი ფორმის ნაკვეთების მთელ პერიმეტრზე ააშენა. ამიტომ სახლს ერთგვარი არაწესიერი მრავალკუთხედის გეგმარება შეექმნა, ორი წაკვეთილი წიბოთი მეტეხის ქუჩის მხრიდან და წანაზარდი ფლიგელით სამხ-აღმოსავლეთიდან. მართკუთხა ერკერებიანი სახლი ერთიანად არის აშენებული ნაგებობის მთელ პერიმეტრზე არსებულ, განიერ საყრდენ კედლებიან ღრმა სარდაფებზე. სარდაფში ჩასასვლელი მოწყობილი იყო ნაგებობის წაკვეთილ წიბოზე მეტეხის ქუჩის კუთხეში. სტრუქტურულად სახლის სამივე სართულზე ორ რიგად იყო გამწკრივებული სხვადასხვა ზომის მართკუთხა ანფილადური ოთახები, ორი ცენტრალური მოზრდილი დარბაზით პირველ და მეორე სართულებზე. სახლის მარცხენა (აღმოსავლეთის) ფლანგზე ამ რიგებს სამივე სართულზე კვეთდა კიბის მძლავრი უჯრედი. კიბის უჯრედი ჰქონდა სახლს ეზოსკენ წანაზარდ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფლიგელშიც, საიდანაც ხვდებოდნენ ეზოს მხარეს მდებარე გალერეა-აივნებზე (დღეს ეს ფლიგელი აღარ არსებობს). კიდევ ერთი კიბის უჯრედი იყო ეზოს მხრიდან სამხრეთ-დასავლეთ ფლანგშიც (არც ეს უჯრედი არ შემორჩენილა. რამდენიმე სვლიანი მართკუთხა, პომპეზური კიბის უჯრედი სახლის დასავლეთ ფლანგში, სასინათლო ფანრით სხვენში დამატებულია მოგვიანებით, აქ საქალაქო სასამართლოს დაფუძნებისას. ამავე დროს უნდა იყოს დამატებული კიდევ ორი სასინათლო ფანარი მესამე სართულის შიდა დერეფანისთვის). სახლის გეგმარება სამივე სართულზე ბევრჯერ არის გადაკეთებული და დამატებულია ტიხრები. მოგვიანებით ამოშენდა გალერეა-აივანი ეზოს მხარეს და კედელიც კონსოლით ოდნავ წინ გადაიწია. ამ ცვლილებების შემდეგ ნაგებობამ მიიღო დღევანდელი სახე.



კახეთის მოედანი, 1870-იანი წწ



კახეთის მოედანი, 1910 წ

1870-იანი წლების საარქივო ფოტოზე ჩანს, რომ ეკლესიის უკან, კახეთის მოედნისკენ მხოლოდ მცირე ზომის სახლები დგას. 1910 წლის ფოტოზე კი დღეს არსებული სამსართულიანი სახლი ქეთევან დედოფლის ქუჩაზე – №3 უკვე აშენებულია, ჩვენი საპროექტო სახლის ადგილას კი ჩანს მხოლოდ მცირე ზომის სახლები.



XX ს-ის 10-იანი წწ. ფოტო
საქართველოს ცენტრალური კინო-ფოტო-ფონო არქივის ფონდი ©

სახლის ზედა ნაწილი ეზოს მხრიდან ჩანს 1910-იანი წლების დასასრულის საარქივო ფოტოზე. აქ ვხედავთ, რომ სახლის დასავლეთ ფლანგს დღეს პრაქტიკულად შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე. ეზოს მხარეს კი დღეს აღარ არსებობს ფოტოზე აღბეჭდილი გალერეა-აივნების სისტემა და სამხრეთ-აღმოსავლეთის წანაზარდი ფლიგელი კიბის უჯრედით. აივნები ამოშენებულია, ფლიგელი კი – მთლიანად მოხსნილი.

სამშენებლო ფენები –

XIX ს. – თავდაპირველად აქ არსებობდა მცირე ზომის ბანურ გადახურვიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მოგვიანებით შეცვალა ორქანობიანმა ნაგებობებმა (დღეს ეს სახლები აღარ არსებობს).

XX ს. 10-იანი წწ. – აშენდა არაწესიერი მრავალკუთხედის ფორმის სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი ღრმა სარდაფით ნაგებობის მთელ პერიმეტრზე;

XX ს. შუა ხანა – ამოშენდა სახლის გალერეა-აივნები ეზოს მხარეს და კედელმა გადაიწია ოდნავ წინ. რკინაბეტონით გამაგრდა სართულშუა გადახურვები, საფასადო ერკერები და მოეწყო მართკუთხა კიბის უჯრედი. შეიცვალა გეგმარება ინტერიერში;

XIX-XX სს-ის მიჯნა – ნაგებობაში ჩატარდა კაპიტალური რემონტი. მცირედ შეიცვალა გეგმარება ინტერიერში.

გეგმარება

ორიენტაცია – დასავლეთ-აღმოსავლეთის გრძივი მიმართულება;

რელიეფი – მოვაკებულია;



ეზო – სახლის უკან ოთხივე მხრივ ნაგებობებით შემოზღუდული წაგრძელებული ეზოა.

გეგმა – ნაგებობის გეგმარება მართკუთხა ფორმისა, რომლის გასავლეთი ფლანგის კუთხეები წაკვეთილია (53.80X15.80Xh-12.50მ). ფასადები ქეთევან დედოფლის და მეტეხის ქუჩიდან მეორე და მესამე სართულებზე ერკერებით არის დასახსრული. ეზოს მხარეს ხის ღია გალერეა-აივანები ამოშენებულია მართკუთხა სარკმლებიანი კედლით. ქეთევან დედოფლის ქუჩის მხრიდან აქვს თავდაპირველი კიბის უჯრედი, თაღოვანი სადარბაზოთი. კიბის მართკუთხა უჯრედი აქვს დასავლეთ ფლანგზეც. სამივე სართულზე მართკუთხა ანფილადურ ოთახთა რიგებია.

სარდაფი – დუტავრების სისტემით თარაზულგადახურვიანი, მართკუთხა წაგრძელებული ფორმის მოცულობებიანი სარდაფი ნაგებობის მთელი პერიმეტრის ქვეშ არის განლაგებული სამ რიგად. სხვადასხვა მოცულობის ოთახები ერთმანეთთან ანფილადურად არის დაკავშირებული. ეზოს მხარეს სარდაფის მართკუთხა ნაწილი გადის ნაგებობის პერიმეტრის გარეთაც. თავდაპირველი ჩასასვლელი კიბე სარდაფში ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან იყო, მეტეხის ქუჩისა და მოედნის კუთხეში მდებარე ნაგებობის წაკვეთილი გვერდიდან. მოგვიანებით ამოშენებულია. კიბის უჯრედი იყო გამართული ქეთევან დედოფლის ქუჩის მხრიდან ნაგებობის აღმოსავლეთ ფლანგში, რომელიც ასევე ამოშენებულია. გაუქმებულია ასევე მცირე კიბე ეზოს მხრიდანაც. ამჟამად ლითონის საფეხურებიანი მარტივი კიბეა გამართული მეტეხის ქუჩის მხრიდან. სარდაფი საკმაოდ ღრმაა – 3.55მ. სარდაფის აგურის მკვიდრი წყობის საყრდენი კედლები განიერია (100სმ). სარდაფი მოგვიანებით გადაგეგმარებულია. დროთა განმავლობაში მოწყობილია სხვადასხვა სიგანის ტიხრები. დამატებული აქვს რკინაბეტონის მასიური საყრდენები. ქუჩის ფასადის მხარეს თახჩები და თაღოვანი სასინათლო ღიობები ამოშენებულია.



სარდაფის გეგმა, 1970წ.

I სართული – სართულზე ორ რიგად არის გამწკრივებული სხვადასხვა ზომის მართკუთხა ანფილადური ოთახები, ორი ცენტრალური მოზრდილი დარბაზით. სახლის მარცხენა (აღმოსავლეთის) ფლანგზე ამ რიგებს კვეთს სადარბაზოს კიბის მძლავრი უჯრედი. რამდენიმე სვლიანი მართკუთხა, პომპეზური კიბის უჯრედია სახლის დასავლეთ ფლანგში. ეს სართული თავიდანვე სავაჭრო და/ან სახელოსნო მოცულობებისთვის იყო გათვალისწინებული, ფართო ღიობებით საფასადო მხარეს. სართულის გეგმარება ბევრჯერ არის გადაკეთებული. დამატებულია ტიხრები და მოწყობილია ანტრესოლები. მოგვიანებით ამოშენდა გალერეა-აივანი ეზოს მხარეს და კედელიც კონსოლით ოდნავ წინ გადაიწია. ამჟამად ამ სართულზე ბანკის საოპერაციო დარბაზი და საბანკო მცირე ოთახებია მოწყობილი. შესასვლელი ბანკში ქეთევან დედოფლის ქუჩიდანაა. დასავლეთ ფლანგის მართკუთხა კიბის უჯრედში კი შესასვლელი მეტეხის ქუჩიდან არის მოწყობილი.



I სართულის გეგმა, 1970წ.

II სართული – მეორე სართული საცხოვრებელი დანიშნულების იყო. გეგმარებით იგი პირველი სართულის მსგავსია. აქაც ორ რიგად არის გამწკრივებული სხვადასხვა ზომის მართკუთხა ანფილადური ოთახები, ორი ცენტრალური მოზრდილი დარბაზით, რომელთაგან დარბაზი ქეთევან დედოფლის ქუჩის მხარეს მოგვიანებით განივად იყო მრავალჯერადად გადატიხრული (ამჟამად ტიხრები მოხსნილია). სახლის მარცხენა (აღმოსავლეთის) ფლანგზე ამ სართულზეც კიბის მძლავრი უჯრედია. ხოლო სახლის დასავლეთ ფლანგში, კიბის მართკუთხა უჯრედი. კედლის გრძივი ღეძის 0.75მ. სიგანის კედელში სამი ბუხარია. ამ სართულზე საფასადო მხარეს მართკუთხა ერკერებია შეკიდული. ერკერებს შორის ლითონის მარტივ ცხაურიანი შეკიდული ღია აივნებია. ლითონის ოვალური აივნებია ნაგებობის წაკვეთილ გვერდებზე.



II სართულის გეგმა

III სართული – საცხოვრებელი დანიშნულების იყო მესამე სართულიც. გეგმარებით იგი მეორე სართულის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ დიდი დარბაზების ნაცვლად აქ მთელი სართული დაყოფილი იყო ვიწრო ტიხრიანი მართკუთხა მოცულობებით და და ნაგებობის ცენტრში მთელ სიგანეზე დატანებული იყო შიდა დერეფანი ორი სასინათლო ფანრით სხვენში.



III სართულის გეგმა

გამოყენება

თავდაპირველი – აშენდა, როგორც საცხოვრებელი სახლი. I სართული გამოიყენებოდა სავაჭრო-სახელოსნოებად;

შემდეგი – გამოიყენებოდა როგორც საცხოვრებელი სახლი; წლების მანძილზე აქ განთავსებული იყო №3 აფთიაქი. I სართული გამოიყენებოდა მაღაზიებად. II და II სართულში განთავსებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლო.

ბოლოდროინდელი – ბანკ „ბაზისბანკის“ სათავო ოფისი;

სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დაზიანებები

კონსტრუქცია – ნაგებობა ერთიანად არის აგებული 3.55მ. სიღრმის სარდაფის მძლავრ, ერთი მეტრი სიგანის კედლებზე. კედლების სიგანე ზედა სართულებზე მცირდება. I სართულზე – 90სმ-ია. II და III-ზე 75სმ. I სართულის შუა განივ ღერძზე კედლების ნაცვლად თაღებით შეკრული მძლავრი მართკუთხა ბურჯებია. მოგვიანებით სარდაფის კედლები გაძლიერებულია რკინაბეტონის ბურჯებით.



ლითონის დუტავრებზეა მოწყობილი სართულშუა და სხვენის ბეტონის გადახურვები. მეორე სართულზე სახლის მთელ სიმაღლეზე შეკიდულია მართკუთხა ერკერები, რომლებიც მოგვიანებით გაძლიერებულია რკინაბეტონის კონსტრუქციებით. თუნუქის სახურავი მოწყობილია ხის ნივნივებზე, რომლის სამხრეთის ქანობში მოწყობილია სამი სასინათლო ფანარი, ორი მესამე სართულის შიდა დერეფნის ერთი კი დასავლეთ ფლანგის მართკუთხა კიბის უჯრედისათვის. ნაგებობის დასავლეთ მონაკვეთსა და აღმოსავლეთ ფლანგზე დატანილია კიბის უჯრედები. კიდევ ვიწრო კიბეა დატანილი სარდაფში ჩასასვლელად მეტეხის ქუჩის მხრიდან.

სტრუქტურა და მასალა – ძირითადი სამშენებლო მასალაა რუსული აგური კირის ხსნარზე. სარდაფებში აგურთან გამოყენებულია რკინაბეტონი. აგურის წყობისაა საბუხრე მილები. გადახურულია ღიაცისფრად შელებილი თუნუქით. გადაკეთების დროს გამოყენებულია სხვადასხვა სახის მასალა: აგური, ბლოკის ქვა, რკინა-ბეტონი, ლითონი.



ხის მასალაა გამოყენებული თარაზულ ღიობთა ზედანებისა და მოჩარჩოებისთვის.

დაზიანებები – დაზიანებულია საფასადო შელესილობა. დაზიანებულია სარდაფის აგურის წყობა. დაზიანებულია ბუხრების სისტემები;

საყრდენი კედლები – ამოყვანილია „რუსული“ აგურით;

კედლების სტრუქტურა – კირ-დუდაბით შეკრული აგურის მკვიდრი წყობა;

სართულშუა გადახურვა – სართულშუა და სხვენის გადახურვებიც რკინა ბეტონისაა.

სახურავი – ორქანობიანი, ხის ნივნივებზე მოწყობილია თუნუქის სახურავი;

ფასადები:



თავდაპირველი სახე – ნაგებობის საფასადო სახე პრაქტიკულად არ შეცვლილა. სახლს ჰქონდა თანადროული ეპოქისათვის შესატყვისი საფასადო სტრუქტურა – ეკლექტიკური ფასადით ქუჩაზე და „თბილისურით“ ეზოს მხრიდან. არქიტექტორმა კარგად გათვალა მის ხელთ არსებული ნაკვეთი, მოედნის და გზაჯვარედინის ფაქტორი და ამ მოცემულობებს შეუსაბამა საფასადო სტრუქტურა. მან მოკლე ფასადზე დააპროექტა ერკერებით ფლანკირებული წაკვეთილი კუთხეები და შეკრა ეს ფასადი მძლავრად ნაშვერი ლავგარდანის სისტემით. ასევე შექმნა შვეული აქცენტები ერკერების გამოყენებით მოედნის მხრის გრძივ ფასადზე და მისი ზედა ნაწილი ანალოგიურად შეკრა საფეხუროვანი ლავგარდანებით და მარტივი პარაპეტით. ნალესი კედლების საფასადო სიბრტყე ძუნწად არის მორთული, რაც ასევე წინასწარგანსაზღვრულად არის გადაწყვეტილი და მოდელირებულია კონსტრუქტივისტული ფორმებით. საფასადო მცირე პლასტიკის სახეები კი მხოლოდ კონსტრუქციული ელემენტებისათვის არის გამოყენებული.



კარგად იყო გათვლილი გალერეა-აივნების სისტემაც ეზოს მხარეს, რაც სამწუხაროდ აღარ არსებობს.

ფასადები ეფუძნება ფართო მართკუთხა ღიობებით დასახსრულ რუსტირებულ პირველ სართულს. იმ დროისთვის ქუჩის ნიშნული დაბლა იყო და სარდაფის სასინათლო ღიობები ტროტუარის ზემოთ გამოდიოდა.



ფასადი ქუთევან დედოფლის პროსპექტიდან, 2010წ.



მეტეხის ქუჩიდან, 2010წ.



მეტეხის ქუჩიდან, 2010წ.



გადაქცეული ფასადი ეზოს მხრიდან, 2010წ.

ინტერიერი:

ნაგებობის არსებობის მანძილზე ინტერიერში ბევრჯერ ჩატარებულა გადაკეთებები და რემონტი, თუმცა ძირითადი სტრუქტურული სახე შენარჩუნებულია.

სარდაფის ინტერიერი – დუტავრების სისტემის თარაზულგადახურვიანი, მართკუთხა, წაგრძელებული ფორმის სარდაფების განიერი კედლები რუსული აგურით არის ამოყვანილი. წყობა მკვიდრია. მოგვიანებით გაძლიერებულია რკინაბეტონის საყრდენებით. ქუჩისპირა სასინათლო ღიობები ამოშენებულია ტროტუარის დონის აწევის გამო. კედლების ნაწილი შელესილია. სარდაფი დროთა განმავლობაში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. თავდაპირველი მხატვრულ-არქიტექტურული სახიდან არაფერია შემორჩენილი.



ჭერი



აღმოსავლეთი ფლანგი









გრძელი დარბაზი ქუჩის ფასადისკენ

I სართულის ინტერიერი – ამჟამად I სართულზე ბანკის საოპერაციო დარბაზია. ინტერიერის თავდაპირველი მხატვრული გაფორმებიდან აღარაფერია შემორჩენილი. აგურის წყობის დარბაზის კედლები თავიდანვე შესალესად იყო გათვალისწინებული. დროთა განმავლობაში აქ რამდენჯერმეა ჩატარებული რემონტი და გადაკეთებები.



საოპერაციო დარბაზი

II და III სართულის ინტერიერი –



ცენტრალური დარბაზი II სართულზე

ამჟამად II და III სართულებზე მიმდინარეობს რემონტი. ინტერიერის თავდაპირველი მხატვრული გაფორმებიდან აღარაფერია შემორჩენილი დიობთა ფორმების გარდა.





ოთახები III სართულზე

დასკვნა და რეკომენდაციები

საარქივო და ადგილზე ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა შემდეგი:

1. ფასადების სტრუქტურა ძირითადად თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. შეცვლილია საფასადო მხარე ეზოს მხრიდან;

2. შენობის ინტერიერის მხატვრული სახე და ფორმა პრაქტიკულად მთლიანად არის შეცვლილი. დარბაზებში მრავალჯერ არის ჩატარებული რემონტი;

3. სარდაფის ინტერიერიც მთლიანად არის შეცვლილი და არ არის შემორჩენილი თავდაპირველი მხატვრული სახეები და ფორმა კედლების გარდა. დაემატებულია პირველი სართულიდან ჩასასვლელი კიბე და ტიხრები;

4. რკინაბეტონით არის გაძლიერებული სარდაფის კედლები და ერკერები. ამოშენდა სარდაფში ჩასასვლელი კიბე ფასადის კუთხიდან. დასავლეთ ფლაგში მოწყობილი კიბის უჯრედი მოგვიანებით უნდა იყოს შექმნილი;

5. მოგვიანებით მოეწყო სასინათლო ფანრები სხვენში;. ქუჩის მხარეს გაკეთდა ლითონის მოაჯირიანი ახალი აივნები.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაგებობის ქუჩის საფასადო სახე პრაქტიკულად თავდაპირველია, ინტერიერი კი XX ს-ის II ნახევრის და ბოლო პერიოდის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის შედეგია.

ამგვარად, ეს სახლი არის 1910-იან წლებში აგებული სამსართულიანი ნაგებობა. მისი ძირითადი არქიტექტურული სახე იყო ეკლექტიკური ფასადი ქუჩისკენ, ხოლო ეზოს მხრიდან შემოფარგლული იყო ხის გალერეა-აივნების სისტემით.

ნაგებობა ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მისი საფასადო შელესილობის და ინტერიერის რეაბილიტაცია აუცილებელია. ოღონდ სასურველია თავდაპირველი კონსტრუქციული კვანძების შენარჩუნება და ყურადღების მიქცევა იმ არქიტექტურულ ფასეულობათა დაცვაზე, რაც ახასიათებს ამ ნაგებობას..

ამავე დროს უნდა განისაზღვროს თუ რა ფუნქციური დანიშნულება მიეცეს სარდაფებსა და სართულების ინტერიერს.

გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ადაპტაციური მიდგომაც დღევანდელი მოთხოვნილებების შესაბამისად და ზოგადი მხატვრულ-არქიტექტურული სახის დაურღვევლად.

ამგვარად რეაბილიტაციის მიზანი უნდა იყოს ნაგებობის სამშენებლო ფენების და მათი არქიტექტურული ღირებულების დადგენა, ასევე თავდაპირველი მხატვრული სახეების გამოვლენა, თავდაპირველი სახით აღდგენისათვის და რიგ შემთხვევაში ადაპტაცია თანამედროვე ფუნქციურ მოთხოვნათა შესაბამისად, არქიტექტურული ძეგლის ავთენტური სტრუქტურისა და მხატვრული სახის დაცვით;

იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება ნაგებობის ხელახლა შეღებვა, აუცილებელი იქნება მთავარი ფასადის ნალესობის ლაბორატორიული ანალიზი თავდაპირველი ფერის დასადგენად და თავდაპირველი ფერის დაბრუნება, თუმცა არსებული დაფერილობაც სათანადოა;

შესაძლებელი ჩანს მთავარი შენობის ეზოს ფასადის მხატვრული სახის ცვლილება ერთიანი მხატვრული კონტექსტის დაცვით;

ინტერიერებში შესანარჩუნებელია ზოგადი გეგმარება და კონსტრუქციები (კიბის უჯრედი ადმოსავლეთ ფლანგში; პირველი სართულის ღიობების ფორმა და გაბარიტები; თაღედები).. დასაშვებია ნაწილობრივი გადაგეგმარება (მაგ. პირველი სართულის დარბაზის და სხვ.), ვინაიდან ძველი მხატვრული გაფორმება არ არის შემორჩენილი დასაშვები ჩანს ახალი მხატვრული სახეების დაპროექტება, ამგვარი გარემოსთვის დამახასიათებელი ტრადიციული თემატიკითა და ფორმით;

მართკუთხა ღიობების ალათების შეცვლის შემთხვევაში პირველი სართულის ფასადზე ქუჩის მხარეს, სასურველი იქნება მათი შეცვლა შენობის თანადროული არქიტექტურული ესთეტიკის მქონე ალათებით;

ასევე აუცილებელია რესტავრაციის დეტალური პროექტი, როგორც არქიტექტურული ნაწილის ასევე მხატვრული სახის ესკიზების წარმოდგენით;

სასურველია პროექტირებაში ატქიტქტორ-რესტავრატორთა მონაწილეობა;

გასათვალისწინებელი იქნება ასევე მშენებლობის მაღალი ხარისხი;

სასურველია მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობაც;

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
12.07.2010